ხელშეკრულება № 01.02.01.02/1

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **5 მაისი 2020 წელი**

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი სააგენტოს უფორის ვიქტორ წილოსანის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ეს თი ეს" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმომადგენელი მისი დირექტორის ნესტორ არჩუაძის სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია - ქ. თბილისის ქუჩებსა და მაგისტრალებზე, „სრული ქუჩების" (Complete streets) და მულტიმოდალური დაგეგმვის პრინციპების შესაბამისად საგზაო მონიშვნის, საგზაო ნიშნების, სპეციალური საველოსიპედო გზასავლებისა და ავტობუსის განცალკევებული ზოლების პროექტირების შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, რომლის პირობებიც განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართით (ტექნიკური დავალება და ხარჯთაღრიცხვა) რომლებიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს.

2.2 შესყიდვის საშუალება - ელექტრონული ტენდერი (აუქციონის გარეშე), განცხადების ნომერი: NAT200006169;

2.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **600000.00** (ექვსასი ათასი) ლარს, ყველა ხარჯისა და გადასახადის ჩათვლით.

2.4 მომსახურების ერთეულის ფასი განისაზღვრება გზის საპროექტო ფართობის ერთეულის (მ²) მიხედვით (მ² ფასი შეადგენს 0.3 ლარს). მოცულობების განისაზღვრა განხორციელდება გზის სავალი ნაწილის საბგარიშო ფართობით.

2.5 კლასიფიკატორის კოდი: ***71356400 - მომსახურებები ტექნიკური დაგეგმარების სფეროში***

2.6 ხელშეკრულება ძალაშია 2020 წლის 5 მაისიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. მომსახურების გაწევის ვადები და პირობები

3.1 მომსახურების გაწევის ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე, ეტაპობრივად, შემსყიდველის დავალების შესაბამისად.

3.2 შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ყოველი კონკრეტული წერილობითი დავალებით განისაზღვრება არაუმეტეს 125 000 მ² ფართობის ქუჩ(ებ)ის დიზაინის (საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემატური პროექტი) შედგენა რომელიც მიმწოდებელის მიერ უნდა განხორციელდეს დავალების მიცემიდან არაუგვიანეს 7 კალენდარულ დღეში, ხოლო დავალებით 250 000 მ² ფართობის ქუჩ(ებ)ის დიზაინის (საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემატური პროექტი) მიცემის შემთხვევაში, მიმწოდებელის მიერ უნდა განხორციელდეს დავალების მიცემიდან არაუგვიანეს 14 კალენდარულ დღეში;

3.3 დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ხელშეკრულების დანართის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.4 დოკუმენტაციის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, ჟ.შარტავას ქუჩა N7, სსიპ- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო.

4. გასაწევი მომსახურების ხარისხი

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4.2 იმ შემთხვევაში თუ პროექტის იმპლემენტაციის პროცესში თავს იჩენს რაიმე ცდომილება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 2 წლის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში განახორციელოს ცდომილების გასწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.

5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ სსიპ- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს თანამშრომლები ან/და სააგენტოს მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს **სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსი.**

6.3 შესყიდვის ობიექტის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
7.2 ანგარიშსწორება მოხდება 2020 წლის თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ეტაპობრივად, ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შემდეგ, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
7.3 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების მე-14 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინების მიღებიდან 7.2 პუნქტით გათვალისწინებულ ანგარიშსწორებამდე მიმწოდებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, შემსყიდველი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებისას, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა დაუქვითოს მიმწოდებელს, რის შემდეგაც მიმწოდებელს ჩაერიცხება დარჩენილი თანხა.
7.4 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

8.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე - უპირობო, გამოუთხოვადი ხელშეკრულების შესრულების გარანტია (№CPB/20 – 005326; 29.04.2020 წ.), რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას დანართის სახით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
8.2 მიმწოდებელს მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
8.3 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.
შენიშვნა: უპირობო, გამოუთხოვადი ხელშეკრულების შესრულების გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ ლიცენზირებული სადაზღვეო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისას, არაჯეროვნად შესრულბის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, გამოიყენება საჯარიმო სანქციები;
9.2 მიწოდების ვადების (თითოეული ლოკაციის შესაბამისი დოკუმენტაციის მიწოდების ვადის) დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
9.3 ხელშეკრულების 4.2 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება საჯარიმო სანქცია ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით;
9.4 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ჩამოერთმევა სრულად შემსყიდველის სასარგებლოდ.
9.5 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას ამ ხელშეკრულების მე-14 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.
9.6 ხელშეკრულების 7.2 პუნქტის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის 0,02 %-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
9.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
10.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, ხოლო შემსყიდველმა აცნობოს მიმწოდებელს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი.
10.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
10.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებლის მიერ თითოეული ლოკაციის შესაბამისი დოკუმენტაციის მიწოდების ვადის 10 (ათი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორს-მაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.
11.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
11.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
12.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ღირებულება

13.1 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა.
13.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების (ერთეულის ფასის)შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
13.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
13.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

14. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

14.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით, სადაც გაგზავნილი შეტყობინება/დაკვეთა ჩაითვლება ოფიციალურ დაკვეთად. შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.
14.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:
ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი: 577 15 55 75 ; საკონტ. პირი: ნესტორ არჩუაძე, ელექტრონული ფოსტა: info@sts.com.ge;
ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი :558 79 52 60 ; საკონტ. პირი დავით ჯაიანი, ელექტრონული ფოსტა: d.jaiani@tbilisi.gov.ge.
14.3 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.
14.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15.3 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

15.4 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

15.5 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. სხვა პირობები

16.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

16.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

16.4 „ხელშეკრულების“ მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების“ ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომვრაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.

16.5 „ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“ შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

17. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო	შპს „ეს თი ეს“
ქ.თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7 საიდ. კოდი: 205393689 სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი № TRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022	ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქ. N60, I სართული საიდ.კოდი: 400234055 სს „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი № BAGAGE22 ა/ა GE88BG0000000100823548
სააგენტოს უფროსი	დირექტორი
ვიქტორ წილოსანი _____	ნესტორ არჩუაძე _____

დანართი N1

ქ. თბილისის ქუჩებსა და მაგისტრალებზე, „სრული ქუჩების“ (Complete streets)და მულტიმოდალური დაგეგმვის პრინციპების შესაბამისად საგზაო მონიშვნის, საგზაო ნიშნების, სპეციალური საველოსიპედო გზასავლებისა და ავტობუსის განცალკევებული ზოლების პროექტირების შედგენის ხარჯთაღრიცხვა

#	გასაწევი მომსახურების დასახელება	განზომილების ერთეული	მოცულობა $მ^2$	ღირებულება (ლარი)
	ქუჩის დიზაინის (საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემატური პროექტი) საპროექტო სამუშაოების შედგენის მომსახურება	მ2	2000000	600000

მომსახურების ხარჯთაღრიცხვა წარმოდგენილ უნდა იქნას დანართი N1–ის მიხედვით (ხარჯთაღრიცხვის წარმოუდგენლობა ან/და განუფასებლად წარმოდგენა დაზუსტებას არ დაექვემდებარება და გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას)

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

საქართველო. შპს "ეს თი ეს" GEORGIA. "ST SOLUTIONS" LLC STS #00234055

ქ. თბილისის ქუჩებსა და მაგისტრალებზე, „სრული ქუჩების“ (Complete streets) და მულტიმოდალური დაგეგმვის პრინციპების შესაბამისად საგზაო მონიშვნის, საგზაო ნიშნების, სპეციალური საველოსიპედო გზასავლებისა და ავტობუსის განცალკევებული ზოლების პროექტირების შედგენის ტექნიკური დავალება

პროექტის მიზანია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მდგრადი სატრანსპორტო პოლიტიკის ამოცანების შესაბამისად, საგზაო მოძრაობის ყველა მონაწილის გათვალისწინებით ქუჩების რესურსების ხელახალი გადანაწილება ქუჩების გეომეტრიული პარამეტრების შენარჩუნების ხარჯზე.

დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის გაუმჯობესების მიზნით, განსახორციელებელია ქუჩებზე „სრული ქუჩების“ (Complete streets) და მულტიმოდალური დაგეგმვის პრინციპების შესაბამისად საგზაო მონიშვნის, საგზაო ნიშნების, სპეციალური საველოსიპედო გზასავლებისა, ტროტუარების და ავტობუსის განცალკევებული ზოლების პროექტირების მომსახურება.

საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით პროექტში ასახული უნდა იყოს: საგზაო მონიშვნები (ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელები, ღერძულა, წყვეტილი, სარეზერვო, გვერდული, გამყოფი, სდექ-ხაზები, მიმმართველი ისრები, უსაფრთხოების კუნძულები, ავტობუსის გაჩერებები, ავტოსადგომები და მოქმედი სტანდარტით - „საგზაო მონიშვნები“ გათვალისწინებული სხვა სახის მონიშვნები), საგზაო ნიშნები, შუქნიშნის ობიექტები სქემატურად, სპეციალური საველოსიპედო გზასავლები, ტროტუარების და ავტობუსების განცალკევებული ზოლები.

პროექტირებისა და მოძრაობის ორგანიზებისას სატრანსპორტო საშუალებებს აქვთ შემდეგნაირი პრიორიტიზირება: ა) არამოტორიზებული; ბ) საზოგადოებრივი ტრანსპორტი; გ) კერძო ტრანსპორტი;

ამ პრიორიტეტების შესაბამისად, საჭიროა:

1. შესაძლებლობის ფარგლებში, საპროექტო გზებისა და მაგისტრალების გეომეტრიული პარამეტრებიდან გამომდინარე, საჭიროა ავტობუსის განცალკევებული ზოლების პროექტირება საზ. ტრანსპორტის შეუფერხებელი და უსაფრთხო ოპერირების მიზნით. ზოლი შესაძლებელია იყოს როგორც გზის შუა ნაწილში ასევე პირველ ზოლში. აღნიშნული უნდა გადაწყდეს ანალიზის საფუძველზე, სადაცავტობუსები შეძლებენ შეუფერხებელ და უსაფრთხო ოპერირებას.
2. შესაძლებლობის ფარგლებში, საკვლევ არეალში შემავალი გზებისა და მაგისტრალების გეომეტრიული პარამეტრებიდან გამომდინარე, საჭიროა მოეწყოს უსაფრთხო და კომფორტული სპეციალური საველოსიპედო გზასავლები, ქალაქის ერთიან ქსელთან შესაძლო კავშირის გათვალისწინებით. საველოსიპედო გზასავლები შესაძლებელია იყოს როგორც გზის სავალი ნაწილის პირველ ზოლში ასევე ქვეითთა სავალ ნაწილზე.
3. შესაძლებლობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება სავალი ზოლის სიგანის შემცირებას საჭირო მინიმუმამდე, საგზაო უსაფრთხოების წესების გათვალისწინებით, გზის სხვა საჭიროებისთვის მეტი სივრცის გამოყოფისა და მწყობრი ნაკადის მიღების მიზნით.

4. ინკლუზიური მობილობის უზრუნველყოფის მიზნით, ყოველი ელემენტის პროექტირებისას გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის #41 დადგენილებით „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" გათვალისწინებული მოთხოვნები.

- დავალების ფარგლებში შესასრულებელი მომსახურება

მიმწოდებლის დავალებაა, არსებული პროექტის ფარგლებში შექმნას ქუჩის დეტალური დიზაინი (დეტალური საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემატური პროექტი), ტექნიკურ დოკუმენტაციაში მოყვანილი ამოცანების შესაბამისად.

მოწოდებულ პროექტებში ყველაგადაწყვეტა უნდა ითვალსიწინებდეს მოწყობილი ინფრასტრუქტურის სამომავლო გაგრძელების შესაძლებლობებს (სპეციალური საველოსიპედო გზასავლები, ავტობუსის განცალკევებული ზოლი, სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ზოლი).

- ველობილიკი

შესაძლებლობის ფარგლებში, ველობილიკი უნდა მოეწყოს გზის სავალ ნაწილზე.

შესაძლებელია ორმხრივი ველო-ბილიკის მოწყობა ცალ მხარეს ან ცალმხრივი ველო-ბილიკის მოწყობა ორივე მხარეს.

მნიშვნელოვანია ველოსიპედებისათვის კვანძების მაქსიმალურად უსაფრთხო გადაკვეთის მიზნით ველოსიპედის მომხმარებელთა გადასასვლელის მოწყობა.

ასევე, საჭიროა ველოსიპედის პარკირების ადგილების შერჩევა. პარკირების ადგილები არ უნდა უშლიდეს ხელს საფეხმავლო გადაადგილებას;

- ავტობუსის განცალკევებული ზოლის პროექტირება

საჭიროა საპროექტო არეალის ფარგლებში ავტობუსის განცალკევებული ზოლის დაგეგმვა და პროექტირება, საჭიროების შემთხვევაში ფიზიკური ბარიერის ჩათვლით. ზოლი შესაძლებელია იყოს როგორც გზის შუა ნაწილში ასევე პირველ ზოლში. აღნიშნული უნდა გადაწყდეს ანალიზის საფუძველზე, სადაც 8-10-12 მეტრიანი ავტობუსები შეძლებენ შეუფერხებელ და უსაფრთხო ოპერირებას.

ახალი სქემის ფარგლებში აღინიშნოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებების ადგილების და დიზაინის ტიპური პარამეტრების გათვალისწინებით.

- ქვეითთა გადასასვლები

არსებულ პროექტში უნდა იყოს გათვალისწინებული ქვეითთა გადასასვლელები. დავალებით მოცემულ ქუჩებზე ქვეითთა გადასასვლელები და სიჩქარის შემზღუდველი საგზაო ნიშნები უნდა დაპროექტდეს ყველა სასწავლო, აღმზრდელობით და საგანმანათლობო დაწესებულებათან, შემსყიდველთან შეთანხმებით.

- ნიშნები

მიმწოდებელი ვალდებულია დავალებით განსაზღვრულ ქუჩებსა და მაგისტრალებზე სიჩქარის განმსაზღვრელი ნიშნები შეათანხმოს შემსყიდველთან.

- ტროტუარი

იმ ქუჩებზე სადაც დღეის მდგომაროებით არ არის ტროტუარი, შესაძლებლობის ფარგელბში შემსყიდველთან შეთანხმებით, უნდა დაიგეგმოს ტროტუარის სიგანე, რის მიხედვითაც გზის სავალ ნაწილზე სატრანსპორტო საშუალებების სამოძრაო ზოლების შემდგომი გადანაწილება განხორციელდება.

„სრული ქუჩებისა“ და “ქუჩების დიეტის“ პრინციპების შესაბამისად, შესაძლებლობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება სავალი ზოლის სიგანის შემცირებას საჭირო მინიმუმამდე, საგზაო უსაფრთხოების წესების გათვალისწინებით, გზის სხვა საჭიროებისთვის მეტი სივრცის გამოყოფისა და მწყობრი ნაკადის მიღების მიზნით.

- წარმოსადგენი მასალა

1. საპროექტო ტერიტორიის დეტალური დიზაინი ყველა საჭირო მონიშვნის, საგზაო ნიშნის, შუქნიშნის, პარკირების, გაჩერების ნაგებობის ჩათვლით - dwg ფორმატი და ნაბეჭდი ვერსია;
2. დეტალური დიზაინი კვანძებისა და გზაჯვარედინების გათვალისწინებით, პარამეტრების, საგზაო მონიშვნის და საგზაო ნიშნების მითითებით - dwg ფორმატი და ნაბეჭდი ვერსია;
3. მასშტაბი 1:500 ყველა ფორმატისთვის - dwg ფორმატი და ნაბეჭდი ვერსია;

იმ შემთხვევაში თუ პროექტის იმპლემენტაციის პროცესში თავს იჩენს რაიმე ცდომილება მიმწოდებელი ვალდებულია, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 2 წლის მანძილზე, შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში განახორციელოს ცდომილების გასწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა

უპირობო გამოუთხოვადი საბანკო გარანტია

№ CPB/20 - 005326 29.04.2020წ.

ვის: სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს - 205393689

მხედველობამი ვიღებთ რა, რომ მპს „ეს თი ეს"-მა, ს/კ 400234055 (შემდეგ – „მიმწოდებელი") ქ. თბილისის ქუჩებსა და მაგისტრალებზე, „სრული ქუჩების" (Complete streets) და მულტიმოდალური დაგეგმვის პრინციპების შესაბამისად საგზაო მონიმვნის, საგზაო ნიშნების, სპეციალური საველოსიპედო გზასავლებისა და ავტობუსის განცალკევებული ზოლების პროექტირების შედგენის მომსახურებაზე (NAT200006169), იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთაღნიშნული გარანტია. ამასთან დაკავშირებით,

ვადასტურებთ, რომ:

ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე: **30,000 (ოცდაათი ათასი)** ლარი და ვკისრულობთ ზემოაღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე, თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.

ეს გარანტია ძალაშია 29.04.2020 -დან 05.03.2021-ის ჩათვლით.

მაია ქასუმაძე
საოპერაციო ზედამინისტრირების
დეპარტამენტის უფროსი